სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/101

ქ. თბილისი 21 ივლისი 2026 წ.

აშშ-ის სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორს რობერტო პეტის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 ივლისის № 01-05-04/12 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ექსპერიმენტული ნაწილაკური ფიზიკის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, DUNE-ის (Deep Underground Neutrino Experiment) საერთაშორისო კოლაბორაციაში გამორჩეული ლიდერული როლისა და აშშ-ის სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის სამეცნიერო და აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერებისადმი განსაკუთრებული ერთგულებისთვის აშშ-ის სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორს რობერტო პეტის მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**